ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3192367

ნომერი: AR1485849

თარიღი : 15.03.2017

გაცემის თარიღი : 05.04.2017

გაცნობის თარიღი : 05.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გულია , N 1 , (ნაკვეთი N8/90) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯემალ აბაიშვილი პ/ნ 01009002578
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 27 ბ. 44

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1485849 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: #01.18.05.008.090) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:
იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა დააზუსტოთ მიღებულია თუ არა საკადასტრო ერთეულზე განთავსებული შენობა ნაგებობა ექსპლუატაციაში და არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოთ ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე საჭიროა წარმოადგინოთ გენგეგმა არსებული და საპროექტო ობიექტების ჩვენებით, მათი ზომების და ფართობის ჩვენებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.